საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
სოფელ ქვემო ლამბალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის და სოფელ იორმუღანლოში არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
(CPV კოდი 45300000)

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, ,, გამარტივებული ელერქტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ.საგარეჯო 2016 წელი

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 წინამდებარე დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

1.2 შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში თავის სატენდერო წინადადების განთავსებით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო განცხადების პირობებს.

1.3 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.5 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.8 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით და მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა (ექსპერტიზის დასკვნით, დასკვნას თან უნდა ერთვოდეს დასკვნის გამცემი ორგანოს ლიცენზია).

1.9 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.10 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.11 ვინაიდან პრეტენდენტებისათვის სატენდერო წინადადების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში-ლარში, ხელშეკრულება გაფორმდება ლარში. შესაბამისად ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში-ლარში. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიების წარმოდგენის შემთხვევაში მათთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიების საფუძველზე საქართველოში აკრედიტირებული საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული „კონტრ გარანტიები“ (ლარში) ან უცხოური ბანკებიდან წარმოდგენილი საბანკო გარანტიების (ლარში) ვალიდურობა დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

1.12 წინადადებების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.

3. ტექნიკური დავალება

3.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

1) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

2) სოფელ იორმუღანლოში არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები;

სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით(CPV კოდი 45300000)

3.2. **დაფინანსების წყარო: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის #265 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ".**

3.3 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება სულ შეადგენს **41 602** (ორმოცდა ერთი ათას ექვსას ორი) ლარს დღგ-ს გარეშე.

1) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 38215 ლარს დღგ-ს გარეშე.

2) სოფელ იორმუღანლოში არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3387 ლარს დღგ-ს გარეშე.

3.4 სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები:

3.4.1 სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი სერტიფიკატები სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (მათი

არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველს უფლება აქვს, დამატებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი;

3.4.2 მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

3.4.3 სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცის დანართი N2-ის სახით.

3.5 სამუშოს მიწოდების ვადები და პირობები

3.5.1 სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში და დაასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღის ვადაში.

3.5.2.თუ კი სამუშაოების უსაფთხო წარმოებისთვის საჭიროა შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული, უსაფრთხოების სქემით სამუშაოების წარმოება, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად დაიცვას შეთანხმებული სქემით განსაზღვრული პერიმეტრი შესაბამისი მარეგულირებელი ნიშნებით.

3.5.3 სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველის მხრიდან ტექნიკურ ზედამხედველსა და მიმწოდებელს შორის შესაძლებელია დაზუსტდეს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. სამუშაოების გეგმა-გრაფიკში შესული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში დამატებით ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის ცვლილებას.

4. პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაცით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტების ატვირთვა.

4.1ინფორმაცია რეკვიზიტების, სატენდერო წინადადების ღირებულების და სამუშაოს ექსპლუატაციის ვადის გარანტიის შესახებ (დანართი №1–ის შესაბასმისად;)

4.2 შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი #2/1-ის შესაბამისად; მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას;

4.3 ინფორმაცია მატერიალურ ტაქნიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას (დანართი№4–ის შესაბამისად;)

4.4 შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.

4.5 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:

ა) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ. პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სამუშაო.

ბ) ინფორმაცია ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას (დანართი N 3-ის შესაბამისად.)

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლები, სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტების ასლები, შესრულებული სამუშაოს ფორმა #2.) ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საგარეჯოს მუნიპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

შენიშვნა:

ხარჯთაღრიცხვის შედგენისას უნდა იყოს გათვალისწინებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება.

5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

5.1 ანგარიშსწორების პირობა:

5.1.2.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.1.3 წინასწარი ანგარიშსწორება ტენდერში არ გამოიყენება.

5.1.4 ეტაპობრივი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპების მიხედვით ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2-ის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2 შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტია

5.2.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღებაჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.

5.2.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

5.2.3 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 2,5% რომლის, გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. (არ გამოიყენება)

5.2.4 მიმწოდებლის მხრიდან, საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე, დარჩენილ 2,5 %-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებლია განხორციელდეს თანხის გადახდა.

5.2.5 შემსყიდველი უფლებას იტოვებს ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, რომლის დაკვეთასაც უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი სახსრებით, შეაჩეროს თანხის გაცემა სახელშეკრულებლო ღირებულების 10%–ის ოდენობით. ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება 10 საბანკო დღის განმავლობაში.

5.2.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

5.2.7 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურებაზე.

5.4 პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის:

5.4.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.4.2 ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო და სხვა სანქციები.

5.4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმის და ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

5.4.4. გეგმა-გრაფიკით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების

გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნის ან/და შესრულებული სამუშაოების ფორმა #2-ის წარმოდგენის შემდეგ.

7. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

გ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხების და მცენარების სიცოცხლისუნ- არიანობა;

დ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაცის და მტვრის გავლენა გარემოზე;

ე) ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურთან;

ვ) სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 10 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა- დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ნარჩენებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

8. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე: ქ.საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ#9, სატენდერო კომისია. E-mail: sagarejoshesyidvebi@gmail.com ტელეფონი: 591 07 97 58 ანი ვაშაკიძე

დანართი #2

1.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ლამბალოს სასმელი წყლის სისტემის მოწყობა

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 38 215 (ოცდათვრამეტი ათას ორას თხუთმეტი) ლარს, დღგ-ს გარეშე.

#	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა
	2	3	4
	1. რეზერვუარების მოწყობა		
1	დამუშავდეს III კატეგორიის გრუნტი, ხელით რეზერვუარის სადგამების მოსაწყობად (3.0X0.5X0.4X2)X5=6	მ3	6,00
2	მოეწყოს ორმოებში შებენის მომზადება საშუალოდ 10 სმ სისქით (3X0,5X2)X5=15	მ2	15,00
3	მოეწყოს ქარგილის ფარები (მოხსნით)	მ2	28,00
4	მოეწყოს საძირკვლები და ზეძირკვლები მონოლითური ბეტონით მ=200 (3X0.5X0.7X2)X5=10.5	მ3	10,50
5	არმატურა ა-III კლასის დ=12 მმ	გრ.მ.	800,00
6	დახერხილი ხის მასალა ქარგილის ფარებისათვის	მ3	0,80
7	მოეწყოს სადგამებზე ლითონის ემალირებული რეზერვუარები მოცულობით 10მ3	ცალი	5,00
8	რეზერვუარების ტრანსპორტირება	გზობა	5,00
	2. წყლის მაგისტრალის მოწყობა		
	N1 უბანი		

1	მოეწყოს ყუთი ტუმბოს მოსაწყობად ფოლადის ფურცლით, სისქით 3მმ ზომებით 0.5X0.5X0.7მ	კომპ	1,00
2	მოეწყოს ყუთში ტუმბო 220 V ჭავლით 60მ მიწოდება 3მ3/სთ	კომპ	1,00
3	დამუშავდეს III კატეგორიის გრუნტი, ექსკავატორით, წყალსადენის მილის მოსაწყობად 0.4X0.6X700=168	მ3	168,00
4	არხის ძირის მოსწორება ხელით 0.4X700=280მ2	მ2	280,00
5	მოეწყოს არხში პოლიეთილენის მილი დ=32მმ PN6	გრ.მ.	700,00
6	გრუნტის შერჩევითი უკუმიყრა ხელით, დამუშავებულის საშუალოდ 20%	მ3	33,60
7	გრუნტის უკუმიყრა ექსკავატორით	მ3	134,40
8	მექანიკური ქურო დ=32მმ	ცალი	6,00
9	მაგისტრალის დაერთება რეზერვუართან	წერტ	1,00
	N2 უბანი		
1	მოეწყოს ყუთი ტუმბოს მოსაწყობად ფოლადის ფურცლით, სისქით 3მმ ზომებით 0.5X0.5X0.7მ	კომპ	1,00
2	მოეწყოს ყუთში ტუმბო 220 V ჭავლით 60მ მიწოდება 3მ3/სთ	კომპ	1,00
3	დამუშავდეს III კატეგორიის გრუნტი, ექსკავატორით, წყალსადენის მილის მოსაწყობად 0.4X0.6X700=168	მ3	168,00
4	არხის ძირის მოსწორება ხელით 0.4X700=280მ2	მ2	280,00
5	მოეწყოს არხში პოლიეთილენის მილი დ=32მმ PN6	გრ.მ.	700,00
6	გრუნტის შერჩევითი უკუმიყრა ხელით, დამუშავებულის საშუალოდ 20%	მ3	33,60
7	გრუნტის უკუმიყრა ექსკავატორით	მ3	134,40
8	მექანიკური ქურო დ=32მმ	ცალი	6,00
9	მაგისტრალის დაერთება რეზერვუართან	წერტ	1,00

	N3 უბანი		
1	მოეწყოს ყუთი ტუმბოს მოსაწყობად ფოლადის ფურცლით, სისქით 3მმ ზომებით 0.5X0.5X0.7მ	კომპ	1,00
2	მოეწყოს ყუთში ტუმბო 220 V ჭავლით 60მ მიწოდება 3მ3/სთ	კომპ	1,00
3	დამუშავდეს III კატეგორიის გრუნტი, ექსკავატორით, წყალსადენის მილის მოსაწყობად 0.4X0.6X700=168	მ3	168,00
4	არხის ძირის მოსწორება ხელით 0.4X700=280მ2	მ2	280,00
5	მოეწყოს არხში პოლიეთილენის მილი დ=32მმ PN6	გრ.მ.	700,00
6	გრუნტის შერჩევითი უკუმიყრა ხელით, დამუშავებულის საშუალოდ 20%	მ3	33,60
7	გრუნტის უკუმიყრა ექსკავატორით	მ3	134,40
8	მექანიკური ქურო დ=32მმ	ცალი	6,00
9	მაგისტრალის დაერთება რეზერვუართან	წერტ	1,00
	N4 უბანი		
1	მოეწყოს ყუთი ტუმბოს მოსაწყობად ფოლადის ფურცლით, სისქით 3მმ ზომებით 0.5X0.5X0.7მ	კომპ	1,00
2	მოეწყოს ყუთში ტუმბო 220 V ჭავლით 60მ მიწოდება 3მ3/სთ	კომპ	1,00
3	დამუშავდეს III კატეგორიის გრუნტი ექსკავატორით, წყალსადენის მილის მოსაწყობად 0.4X0.6X600=144მ3	მ3	144,00
4	არხის ძირის მოსწორება ხელით 0.4X600=240მ2	მ2	240,00
5	მოეწყოს არხში პოლიეთილენის მილი დ=32მმ PN6	გრ.მ.	600,00
6	გრუნტის შერჩევითი უკუმიყრა ხელით, დამუშავებულის საშუალოდ 20%	მ3	28,80
7	გრუნტის უკუმიყრა ექსკავატორით	მ3	115,20
8	მექანიკური ქურო დ=32მმ	ცალი	5,00

9	მაგისტრალის დაერთება რეზერვუართან	წერტ	1,00
	N5 უბანი		
1	მოეწყოს ყუთი ტუმბოს მოსაწყობად ფოლადის ფურცლით, სისქით 3მმ ზომებით 0.5X0.5X0.7მ	კომპ	1,00
2	მოეწყოს ყუთში ტუმბო 220 V ჭავლით 60მ მიწოდება 3მ3/სთ	კომპ	1,00
3	დამუშავდეს III კატეგორიის გრუნტი ექსკავატორით, წყალსადენის მილის მოსაწყობად 0.4X0.6X500=120მ3	მ3	120,00
4	არხის ძირის მოსწორება ხელით 0.4X500=200მ2	მ2	200,00
5	მოეწყოს არხში პოლიეთილენის მილი დ=32მმ PN6	გრ.მ.	500,00
6	გრუნტის შერჩევითი უკუმიყრა ხელით, დამუშავებულის საშუალოდ 20%	მ3	24,00
7	გრუნტის უკუმიყრა ექსკავატორით	მ3	96,00
8	მექანიკური ქურო დ=32მმ	ცალი	4,00
9	მაგისტრალის დაერთება რეზერვუარზე	წერტ	1,00
10	მასალების ტრანსპორტირება	გზობა	1,00

2.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი იორმუღანლოს არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3 387 (სამი ათას სამას ოთხმოცდაშვიდი) ლარს, დღგ-ს გარეშე.

#	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა
	2	3	4
1	დამუშავდეს III კატეგორიის გრუნტი ხელით, რეზერვუარის სადგამების მოსაწყობად (3.0x0.5x0.4)x2=1.2მ3	მ3	1,20
2	მოეწყოს ორმოებში შებენის მომზადება საშუალოდ 10 სმ სისქით 3x0.5x2=3მ2	მ2	3,00
3	მოეწყოს ქარგილის ფარები(მოხსნით)	მ2	5,60
4	მოეწყოს საძირკველი და ზეძირკველი მონოლითური ბეტონით მ=200 (3x0.5x0.7)x2=2.1მ3	მ3	2,10
5	არმატურა ა-III კლასის დ=12მმ	გრ.მ	160,00
6	დახერხილი ხის მასალა ქარგილის ფარებისათვის	მ3	0,20
7	მოეწყოს სადგამებზე ლითონის ემალირებული რეზერვუარი, ტევადობით 8მ3	კომპ	1,00
8	მოეწყოს რეზერვუარზე შემსვლელი და გამომსვლელი მილები ონკანებით	წერტ	2,00
9	რეზერვუარის ტრანსპორტირება საშუალოდ 70კმ-ზე	გზობა	1,00

დანართი№1

ინფორმაცია რეკვიზიტების, სატენდერო წინადადების ფასის და სამუშაოს ექსპლუატაციის ვადის გარანტიის შესახებ

1. ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული ფორმა:

2. საიდენტიფიკაციოკოდი:

3. მისამართი:

4. ხელმძღვანელი/უფლებამოსილიპირი:

5. საკონტაქტოტელეფონისნომერი:

6. ელექტრონული ფოსტის მისამართი:

7. მომსახურე ბანკის რეკვიზიტები (ანგარიშის ნომერის მითითებით):

8. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

9. სამუშაოს ექსპლუატაციის გარანტიის ვადა.

10. ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ.

პრეტენდენტის დასახელება/ხელმოწერა

დანართი №3

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ

ობიექტის დასახელება	დამკვეთის დასახელება	ობიექტის ღირებულება	ფაქტიური შესრულება	თარიღი

შენიშვნა: შემსყიდველს უფლება აქვს ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის დროს მიმწოდებელს მოსთხოვოს ზემოხსენებული მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პრეტენდენტის დასახელება/ხელმოწერა

დანართი№4

ინფორმაცია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესახებ

მანქანა მექანიზმის დასახელება	აღწერილობა, მოდელი,მარკა, ტიპი და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი,ნახმარი, მოძველებული)	სარგებლობის ფორმა (საკუთრება, იჯარა)

პრეტენდენტის დასახელება/ხელმოწერა

დანართი№5

პროექტი

ხელშეკრულება №

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ,,—,, ————2016 წ.

ერთის მხრივ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი ———— (შემდგომში ,,შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ———————————— წარმოდგენილი ———————————— სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე, შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი: **SPA---------- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ლამბალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის და სოფელ იორმუღანლოში არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით(CPV კოდი 45300000)** რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმადაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგ თანხაზე ————————ლარზე, ყველა გადასახადის ჩათვლით დღგ-ს ჩათვლით/გარეშე (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემგდომ – ხელშეკრულება) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ„ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ “შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდვეთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა,------- (შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები) (შემდგომ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ----------(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)(შემდგომ მიმწოდებელი)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

1) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ლამბალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

2) სოფელ იორმუღანლოში არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები;

სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით(CPV კოდი 45300000)

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება შეადგენს ——— ლარს.

1) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ლამბალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების ღირებულება შეადგენს ------ ლარს.

2) სოფელ იორმუღანლოში არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების ღირებულება შეადგენს ------ ლარს.

4.2 სამუშაოები გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: **საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ლამბალო და სოფელი იორმუღანლო**

4.3 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 30 დღე.

5. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. იგი პასუხისმგებელია გაწეული სამუშაოს ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას გაწეული სამუშაოების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. სამუშაოების მიღება–ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნის ან/და შესრულებული სამუშაოების ფორმა #2-ის წარმოდგენის შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი კომისია.

8. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული სამუშაოები **3 წლის** განმავლობაში არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდა ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული აქტის (ფორმა#2) და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 დღის ვადაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4 შემსყიდველი უფლებას იტოვებს ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, რომლის დაკვეთასაც უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი სახსრებით, შეაჩეროს თანხის გაცემა სახელშეკრულებო ღირებულების 10%–ის ოდენობით. ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება 10 საბანკო დღის განმავლობაში.

10 . ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე–4 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი სამუშაოების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლში გათვალისწინებული პირობების, და საწვავის გაძვირების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ოდენობის 10%–ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არა არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველს წრილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობანი.

13. სუბ– კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში თუ სუბ–კონტრაქტორის დადების ან სუბ–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემო აღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში გდადებული ყველა სუბ–კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ–კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან.

14. ფორს–მაჟორი

14.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების გამო არ იქნება განხილული როგორც ხეშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულრბის შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და /ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთ გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი

შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,2 %–ის** ოდენობით.

15.2 გეგმა-გრაფიკით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2 % ოდენობით.

15.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდებ ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების

საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **5%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16.6 ამ მუხლის მე–5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. ხელშკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (არ გამოიყენება)

17.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადას;

17.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს დაუყონებლივ დაბრუნება.

18. დავების გადაწყვეტის წესი

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირ ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ

ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

18.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. სხვა პირობები

19.1 წინამდებარე ხელშკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის _____

(რიცხვი, თვე, წელი)

19.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
_____	_____